№ 202 მთავრობის მოამბე ყოველდღიური გაზეთი წელიწადი მესამე

საქართველოს რესპუბლიკა

ფასი 10 მან. სამშაბათი, სექტემბრის 7 1920 წ.

მთავრობის მოამბე, ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

საქართველოს რესპუბლიკა

გაზეთი ღირს თვეში 200 მან., ცალკე ნომერი ყველგან 10 მან. განცხადების ფასი 1-ლ გვ. პეტიტის სტრიქ. 15 მან. 4-ხე გ. 10 მან. სამგლოვიარო განცხ. ჩვეულებრივი ზომის (15—2) 300 მ., განცხ. საბუთების დაკარგვის შესახებ 160 მ. სასამართლ. უწყ. განცხადებანი 100 მ. ნისია განცხ. დაბეჭდვა ღირს ნიხრზე მეტი 20% რედაქციის და კანტ. მისამართი: ტფ., ბარონის ქ. № 6. ტელეფ. 1—82

კანტორისაგან.

ხელფასისა და ქაღალდის საგრძნობად გაძვირების გამო 1 სექტემბრიდან გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"

ეღირება თვეში 200 მ. ცალკე ნომერი ყველგან 10 მ.

გაზეთი 1 სექტემბრიდან წლის ბოლომდე ღირს **800 მ.** ვისაც გაზეთი გამოწერილი აქვს ძველ ფასებში მან უნდა გამოგზავნოს დამატებითი ფასი თვეში 130 მანეთი, წლის ბოლომდე დასამატებელი 520 მანეთი.

საერთო განცხადების ფასი 1 გვერდზე პეტიტის სტრიქონი 15 მან., 4 გვერდზე 10 მან., ხოლო საბუთების დაკარგვის შესახებ განცხადებანი 160 მანეთი, სამოსამართლო უწყების სავალდებულო განცხადებანი 100 მან. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომა (15×2) 300 მანეთი. ნისია განცხადების დაბეჭდვა ღირს ნიხრზე მეტი 20 პროც. კერძო პირების განცხადებანი **ნისიაზე არ დაიბეჭდება.**

უფასოდ განცხადებები არ დაიბეჭდება

და მათ შესახებ კანტორა არავითარ მიწერ-მოწერას არ მართავს.

ჩაქვის სახელმწიფო მამულის სამმართველო ამით აცხადებს,

რომ მას აქვს გამოსატანი საკუთარი ტყიდან 500 კუბ. საჟ. გამხმარი შარშანდელი მოჭრილი შეშა. რის შესახებ ამა წლის 12 სექტემბერს დღის 12 საათზე დანიშნულია ხელ-მეორედ სად. ჩაქვში სამმართველოს ბინაზე

საჯარო შეჯიბრება

ცნობების მიღება შეიძლება ტფილისში მიწათ-მოქმედების სამინისტროს სახელმწიფო მამულთა განყოფილებაში. დილის 9—1 საათამდე. და სად. ჩაქვში მამულის სამმართველოს კანცელარიაში ყოველ დღე.

4—2 2577

ტფილისის რუსეთის სახელმწიფო ბანკის კანტორის სალიკვიდაციოთ

ფინანსთა მინისტრის მიერ დანიშნულია

სალიკვიდაციო კომისია

რომელმაც უკვე დაიწყო თვისი მოქმედება ამა წლის ენკენისთვიდან—გრიბოედოვის ქუჩაზე, № 22,—შემნახველ-გამსესხებელ კასის შენობაში მთხოვნელებმა ყველა კითხვების და ცნობებისათვის ბანკის კანტორის საქმეების შესახებ—უნდა მიმართონ კომისიის კანცელარიაში ზემოხსენებული მისამართით დილის 10 საათიდან 1 საათამდის (10—1).

874 2—2 **სალიკვიდაციო კომისია.**

მიმდინარე წლის 1 სექტემბრიდან ტფილისის ცენტრალურ ფოსტის შენობაში (პლეხანოვის პროსპ.)

გაიხსნა ფოსტა-ტელეგრაფის კურსები

სადაც ამზადებენ ფოსტა-ტელეგრაფის ყველა სპეციალობის მოხელეებს. კურსებზე მიიღება საქართველოს ყოველი ქართული ენის კარგათ მცოდნე მოქალაქე 18 წლიდან 25 წლამდე, რომელიც 15 სექტემბრამდე შემოიტანს თხოვნას ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველოში შემდეგი მოწმობებით: 1) განათლების (არა ნაკლებ უმაღლეს პირველ დაწყების სასწავლებლის მთელი კურსისა), 2) დაბადების მეტრიკას, 3) ჯანმრთელობის (საერობო ან საქალაქო ექიმისაგან) და 4) ორი შემოწმებული ფოტოგრაფიული სურათი. კურსები და პრაქტიკული მეცადინეობა გაგრძელდება ერთი წელიწადი. მოწაფეებს მიეცემათ უწყების სტიპენდია თვითეულს თვეში 1000 მანეთი. მოწაფეები კურსების ღირსეულათ დამთავრებისათანავე ჩაირიცხებიან სახელმწიფო სამსახურში.

876 3—2

გორის ვაჟთა გიმნაზია

მასწავლებელთა და მოწაფეთა საყურადღებოთ ამით აცხადებს, რომ გიმნაზიაში განმეორებითი გამოცდები და სწავლა დაიწყება

პირველ ოქტომბრიდან.

2629 3—1 **დირექტორი ამბროსი შებურიშვილი.**

სკოლის გარეშე სწავლა-განათლების გამავრცელებელი საზოგადოება ამით აცხადებს,

რომ კურსებზედ მსმენელების ჩაწერა დაიწყება 10 სექტემბრიდან. ჩაწერა შეიძლება მხოლოდ სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით საღამოს 7—8 საათამდე. მუშათა სახლე, მესამე სართული, ოთახი № 24, მბეჭდავთა პროფ. კავშირის გვერდით.

2-2

სახელმწიფო თეატრი.

ბალეტის სკოლა

იღებს მოწაფეებს ვაჟ და ქალთ 9-დან 16 წლამდე. ჩაწერა შეიძლება თეატრის კონტორაში 11-დან 2 საათამდე.

გამოცდა 15 სექტემბერს.

878 2—1 სკოლის დირექტორი **მ. ი. პერინი.**

სენაკის სამაზრო ერობის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ სენაკის მაზრის კიწია-სალხინოს სამომრიგებლო უბნისათვის საჭიროა

მომრიგებელი მოსამართლე

რომლის არჩევა მოხდება სენაკის სამაზრო საერობო ხმოსანთა ყრილობის მიერ მეოთხე მორიგ ყრილობაზე, ოქტომბრის პირველ რიცხვებში. სავალდებულოა სახელმწიფო ენის ცოდნა. ვისაც სურს კენჭი იყაროს აღნიშნულ თანამდებობაზე, შეუძლია თავიანთი განცხადება, curriculem vitae-ს წარმოდგენით, გამოაგზავნონ შემდეგის მისამართით: ქ. სენაკი, სამაზრო ერობის გამგეობას.,

2618 2—1

სენაკის სამაზრო ერობის გამგეობა

ამა წლის 1 სექტემბრიდან ქ. სენაკში

ხსნის ოთხკლასიან უფასო სრულუფლებიან სახელოსნო სასწავლებელს ორი განყოფილებით

1) საზეინკლო და სამექანიკო,
2) სადურგლო და სახარატო.

თხოვნები მიიღება 1—20 სექტემბრამდე უმაღლესი პირველ დაწყებითი სასწავლებლის სწავლა დამთავრებულთაგან სამაზრო ერობის გამგეობის კანცელარიაში.

საუკეთესო მოწაფეებს (რიცხვით 20-ს) დაენიშნებათ სტიპენდია თვეში ექვსასი მანეთი.

მიმდინარე სამოსწავლო წელს გაიხსნება სახელოსნო სასწავლებლის მხოლოდ პირველი კლასი.

2620 3—1

ოფიციალური განყოფილება.

განკარგულებანი

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროსი.

29 ივნისი, 1920 წ., № 108.

დაინიშნოს: ქუთაისის ხაზინის მოანგარიშე მოხელე კონსტანტინე ალექსის ძე ჩეჩელაშვილი იმავე ხაზინის მეორე ხარისხის მოლარეთ ამა წლის 1-ლ ივლისიდან.

30 ივნისი, 1920 წ., № 109.

დათხოვნილ იქმნას: სრულიად სამსახურიდან თანახმად თავისი თხვონისა ფინანსთა სამინისტროს სიბიუჯეტო სახაზინო ნაწილის ბუხჰალტრის თანაშემწე გიორგი პავლეს ძე სეხნიაშვილი ამა წლის 1 ივლისიდან.

№ 110.

დათხოვნილ იქმნას: სრულიად სამსახურიდან, თანახმად თავის თხოვნისა ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო სახაზინო ნაწილის მოანგარიშე მიხეილ დავითის ძე ციმაკურიძე ამა წლის 1 ივლისიდან.

№ 111.

დაინიშნოს: ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო სახაზინო ნაწილის რეგისტრატორი თამარ ადამის ასული ებიაშვილისა ამავე ნაწილში მოანგარიშე მოხელეს თანამდებობაზედ ამა წლის 1 ივლისიდან.

1 ივლისი, 1920 წ., № 112.

განთავისუფლებულ იქმნეს: სრულიად სამსახურიდან თანახმად თავისი თხოვნისა, ზესტაფონის ხაზინის ნაფიცი დამთვლელი გრიგოლ მალაღურაძე ამა წლის 1 ივლისიდან.

№ 113.

დაინიშნოს: საბიუჯეტო სახაზინო ნაწილში დროებით დეგისტრატორის თანამდეობაზე ვასილი ადამის ძე დონაძე ამა წლის 29 ივნისიდან.

№ 114.

განთავისუფლებულ იქმნეს: სრულიად სამსახურიდან თანახმად თავისი თხოვნისა ზესტაფონის ხაზინის რეგისტრატორი ევტიხი ბაკურაძე ამა წლის 1-ლ ივლისიდან.

№ 115.

დათხოვნილ იქმნეს: სრულიად სამსახურიდან, თანახმად თავისი თხოვნისა, ჭიათურის ხაზინის მეორე ხარისხის მოლარე შალვა თეიმურაზის ძე გურული ამა წლის 10 ივლისიდან.

№ 117.

დანიშნულ იქმნეს: ჭუათურის ხაზინის მოანგარიშე ვასილი ნიკოლოზის ძე ფერაძე მეორე ხარისხის მოლარეთ ამავე ხაზინაში ამა წლის 10 ივლისიდან.

№ 118.

დანიშნულ იქმნეს: ჭიათურის ხაზინის რეგისტრატორი პარმენ მიხეილის ძე წერეთელი ამავე ხაზინაში მოანგარიშეს თანამდებობაზედ ამა წლის 10 ივლისიდან.

№ 119.

დაინიშნოს: ფინანსთა საბიუჯეტო სახაზინო ნაწილში რეგისტრატორის თანამდეობაზედ გალაქტიონ იოსების ძე ცქიტიშვილი ამა წლის პირველ ივლისიდან.

№ 120.

განთავისუფლებულ იქმნეს: ერთი თვის ვადით, ჯამაგირის შენახვით, საბიუჯეტო სახაზინო ნაწილის მდივანი ილია გრიგორის ძე სავიცკი ამა წლის 1 ივლისიდან.

№ 121.

მიეცეს: ერთი თვის თავისუფლება, ჯამაგირის შენახვით ფოთის ხაზინის უფროს ბუხჰალტერს მელქისედეკ კალანტარიშვილს ამა წლის 20 ივლისიდან.

№ 122.

მიეცეს: ერთი თვის თავისუფლება ჯამაგირის შენახვით, თელავის ხაზინის უფროს ბუხჰალტერს ზ. ი. მარკოზაშვილს ამა წლის 5 ივლისიდან.

123.

მიეცეს: ორი კვირის თავისუფლება, ჯამაგირის შენახვით, ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო სახაზინო ნაწილის რეგისტრატორს ვერა დიანოსის ასულ ჩიხლაძეს ამა წლის 12 ივლისიდან

№ 124.

მიეცეს: სამი კვირის თავისუფლება ჯამაგირის შენახვით ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო სახაზინო ნაწილის მოანგარიშეს ანასტასია სვიმონის ასულს გოგიჩაიშვილს ამა წლის 29 ივნისიდან-

19 ივლისი, 1920 წ., № 125.

მიეცეს: ერთი თვის თავისუფლება საბიუჯეტო სახაზინო ნაწილის მემანქანეს მარიამ ევსეის ასულს ფავლენიშვილს ჯამაგირის შენახვით ამა წლის 15 ივლისიდან.

№ 126.

დაინიშნოს: საბიუჯეტო სახაზინო ნაწილის მოანგარიშე ვასილ დავითის ძე სარაჯიშვილი ამავე ნაწილში ბუხჰალტრის თანაშემწეს თანამდეობაზედ ამა წლის 1 ივლისიდან.

№ 127.

დანიშნულ იქმნას: ზესტაფონის ხაზინაში ნაფიც დამთვლელის თანამდებობაზედ მოქალაქე გრიგოლი მალაღურაძე ამა წლის ივლისის 1-დან.

№ 129.

დანიშნულ იქმნას: ზესტაფონის ხაზინაში რეგისტრატორის თანამდეობაზედ მოქალაქე მარიამ ვლადიმერის ასული ჩაგანავა ამა წლის ივლისის 16-დან.

№ 130.

დანიშნულ იქმნას: ტფილისის ხაზინის რეგისტრატორი თამარა კონსტანტინეს ასული კუჩუხიძე ამავე ხაზინაში მოანგარიშეს თანამდეობაზედ ამა წლის ივლისის 1-დან.

№ 131.

დათხოვნილ იქმნას: თანამდეობიდან დასრულიად სამსახურიდან ჭიათურის ხაზინის რეგისტრატორი სიმონ ალექსანდრეს ძე აბულაძე ამა წლის ივნისის 1-დან.

№ 132.

დანიშნულ იქმნას: გორის ხაზინაში რეგისტრატორის თანამდეობაზედ მოქალაქე ლევან ნიკოლოზის ძე შარაშენიძე ამა წლის ივნისის 21-დან.

№ 133.

თავისუფლება მიეცეს: ორი კვირის ვადით ჯამაგირის შენახვით ქუთაისის ხაზინის რეგისტრატორს კონსტანტინე ნიკოლოზის ძეს ლორთქიფანიძეს ამა წლის აგვისტოს 1-დან.

24 ივლისი, 1920 წ., № 134.

დაინიშნოს: საბიუჯეტო სახაზინო ნაწილის რეგისტრატორი ელენე დავითის ასული ხოშტარია ამავე ნაწილში მოანგარიშეს თანამდეობაზედ ამა წლის ივლისის 16-დან.

№ 135.

თავისუფლება მიეცეს: ორი კვირის ვადით ჯამაგირის შენახვით, საბიუჯეტო სახაზინო ნაწილის შიკრიკს ვლადიმერ მაკოვსკის ამა წლის ივლისის 26-დან.

ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო სახაზინო ნაწილის უფროსი: **ა. კანდელაკი.**

არა ოფიციალური განყოფილება

მთავრობაში

დახმარება ლეიტენანტ დონეოევს.

სამხედრო ფონდიდან დახმარება მიეცეს ლეიტენანტ დონეოევს, რომელიც სამსახურის ასრულების დროს ავათ გახდა.

ყულაბები შემოწირულებათა შესაკრებათ.

მოიხსნას რკინის გზის სადგურებზე არსებული შემოწირულებათა შესაკრები ყულაბები. ყულაბები უნდა გადაეცეს შინაგან საქმეთა სამინისტროს. ყულაბებში არსებული ფული მთავრობას უნდა ჩაბარდეს.

ძეგლი მაყაშვილს.

დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის მიერ აღძრული საკითხი მფრინავ მაყაშვილის ხსოვნის აღსანიშნავად ძეგლის აგების შესახებ, მთავრობამ მიანდო სამხედრო სამინისტროს ამ საკითხის დეტალურად განსახილველად. თავისი მოსაზრებების წარმოსადგენად.

მიწად-მოქმედების სამინისტროში.

ტყის გაშენება.

მიწად-მოქმედების სატყეო განყოფილებამ ყურადღება მიაქცია იმ მოვლენას, რომ ტყის გაჩეხის გამო, გაჩნდა ბუჩქნარები, რომლებიც ტყის საუკეთესო ჯიშის ნორმალურ ზრდას ხელს უშლის. ამიტომ განზრახულია ამ ბუჩქნარების გაჩეხა და მათ ადგილზე საუკეთესო ჯიშის ტყის გაშენება.

გოგირდის აბანოები.

განზრახულია ტფილისის გოგირდის აბანოების იჯარით გაცემა სამი წლის ვადით. შეჯიბრება აბანოების იჯარით აღებაზე სექტემბრის ათს დაიწყება.

ფინანსთა სამინისტროში

ძლიერი რადიო სადგური.

მარკონის წარმომადგენელ ლურჯი სოლარიდან რადიოთი მოვიდა ცნობა, რომ ტფილისისათვის ძლიერი რადიო სადგური მზათ არისო. სადგური 15 კილოატიან მანქანისაგან შესდგება. სადგურის ძალის რადიუსი 5000 კილომეტრს უდრის. ამ სადგურის დადგმის შემდეგ ტფილისის რადიო სადგური შეერთებული იქნება რომის, ლონდონის და პარიზის რადიო-სადგურებთან. რადიოთი იტყობინებიან: ამ სადგურის აღწერილობა და სურათები ტფილისში ფოსტით არის გამოგზავნილია.

უმაღლესი ეკონომიური საბჭო.

ფინანსთა სამინისტრო უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს მოქმედების გეგმის დამუშავებას შეუდგა. უმაღლესმა ეკონომიურმა საბჭომ უნდა გააერთიანოს ის უწყებანი, რომლებიც სახალხო მეურნეობის დარგში მუშაობს.

სახელმწიფო ბანკის განყოფილება ბათომში.

ფინანსთა სამინისტრომ, ბათომში სახელმწიფო ბანკის განყოფილების გახსნის პროექტი შეიმუშავა. ეს პროექტი ცხოვრებაში უახლოეს დღეებში გატარდება.

საცხოვრებო მინიმუმი.

ფინანსთა მინისტრის მოვალეობის აღმასრულებლის წინადადებით, ფინანსთა სამინისტრო შემოსავლის კვალობაზე გადასახადის დასაწესებლად საცხოვრებო მინიმუმის გადიდების კანონ-პროექტის შემუშავებას შეუდგა. განზრახულია საცხოვრებო მინიმუმის 12 ათასიდან 24 ათასამდე გადიდება.

გრაფი დე-მარტელი საქართველოს და სომხეთის შესახებ

„ექვს თვეზე მეტია რაც მე ამიერ-კავკასიაში ვიმყოფები. ჩემს თავს ბედნიერად ვთვლი, რომ შეძლება მომეცა საფრანგეთისთვის საქართველო და სომხეთი დაახლოვებით გამეცნო.

ორივე რესპუბლიკაში მე ვნახე გულწრფელი პატრიოტიზმი.

ამ ხნის განმავლობაში მე პატივცემული ვიყავ საქართველოს სტუმარ-მასპინძლობით, რომელსაც მე დიდათ ვაფასებ. გავიცანი რა ქართველი ხალხი დაახლოვებით, მე მათში ვნახე ის დადებითი მხარეები, რომელიც ჩვენი რასისთვის სიამაყეს შეადგენს.

მაღალ კეთილშობილურ იდეალით განმსჭვალულმა, ნამდვილ დემოკრატიულ პრინციპებით აღვსილმა—საქართველოს მთავრობამ თავი შეიკავა ცრუ „ჰუმანიტარიზმისგან“ და რღვევის პროგრამას მან არჩია, მშვიდი სახელმწიფოებრივი აღმშენებლობა, რომელიც ასწორებს ძველ ნაკლულოვანებას, მაგრამ არ უარჰყოფს წარსულ გამოცდილ ბრძნულ გაკვეთილებს.

საქართველო, რომელიც ფიქრობს თავის თავისუფლების რეალიზაციას, უნდა ანგარიშს უწევდეს ცხოვრების სინამდვილესაც.

რაც შეეხება სომხეთს მე შემიძლიან ვსთქვა, რომ სომხეთმა ოსმალეთთან საზავო ხელშეკრულებას უკვე ხელი მოაწერა. სომხეთი ხედავს ახალ აღორძინებულ თავის ქვეყნის გაანთიადს. მოკავშირენი აიძულებენ ოსმალეთს ყოველივე ვალდებულების შესრულებას. ქემალისტების აგიტაცია, როგორც მე ვხედავ აქ ვერა პოულობს ნიადაგს, მიუხედავათ იმისა რომ დიდ დახმარებას უწევდნენ ამ საქმეში მოსკოვის მთავრობის წარმომადგენელნი, მაგრამ მათი საქმე მაინც ჯერ თეორიად დარჩა. მოკავშირეთა დახმარებით სომხეთს შეუძლიან თავისი სახელმწიფო მტკიცე საძირკველზე აიგოს. მისი დიდი და ნაყოფიერი კოლონიები, რომელიც დაქსაქსული იყო ოსმალეთის ძალმომრეობით—ახლა ერთად შეერთდებიან და ისევ გაამდიდრებენ თავიანთ ახლად ნაპოვნ სამშობლოს. სომხეთის ფინანსისტებს, მოღვაწეებს, მრეწველებს და ახალგაზრდა მეცნიერთ შეუძლიანთ თავიანთი დახმარებით, შრომით და ენერგიით წინწასწინონ თავიანთი ახალგაზრდა სახელმწიფო და უზრუნველჰყონ სომხეთის ხალხის და ათი თავისუფალი არსებობა.

ეხლა, როდესაც ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ეროვნული გაერთიანება დასრულებულია, მათ მიზანს უნდა შეადგენდეს—ეკონომიურ ცხოვრების ორგანიზაცია. რომ ეს შეასრულონ უნდა მათ იქონიონ რწმენა თავიანთ მეთოდში, თავიანთ საქმეში და უნდა უარჰყონ ყოველგვარი იმპროვიზაციები. ჩქარი გადაწყვეტილების თუ მოფიქრების დროს წავიდა. რომ ააშენო სახელმწიფო უნდა გვერდი აუხვიო პალიატივების სისტემებს, რომელთაც შეუძლიანთ ერთი ან ორი დღით შველა და მდგომარეობას კი არ გააუმჯობესებენ. უცხოეთის კაპიტალი აუცილებელი ფაქტორია, რომელიც მისცემს ქვეყანას ღირებულებას. განსაკუთრებით ყურადსაღებია, რომ ქვეყანა არ დაიტვირთოს ზედმეტ დეკრეტებით და ბრძანებებით.

კრედიტის ორგანიზაცია და ფინანსიური წყაროს შეჰქმნა—უზრუნველ ყოფს სახელმწიფოების თავისუფალ არსებობას. ეს გარემოება უკვე მხედველობაში მიუღიათ ორივე რესპუბლიკებს.

მე ღრმად მრწამს, რომ მოკავშირეთა სახელმწიფოების ეკონომიურ დახმარებით, ორივე რესპუბლიკას შეუძლიან თავისი მოპოებული თავისუფლება განამტკიცონ“.

(„ბორბა“).

უცხოეთი

(საინფორმაციო ბიუროს ცნობები)

ეგვიპტეს სომხობა.

„ჯოლოვურდი ძაინ“-ი იუწყება: ეგვიპტის სომეხთა დემოკრატიულმა პარტიამ გადასწყვიტა მიართვას სომხეთს 50 ჰაეროპლანი. მთელ ამ ესკადრას დაერქმევა „დემოკრატიული სომხეთის საჰაერო ფლოტი“-ო.

ციურიხის გაზეთი საქართველოს შესახებ.

ციურიხის ახალი გაზეთი შექმნილ მდგომარეობის შესახებ ბეჭდავს ვრცელ წერილს, სადაც სხვათა შორის აღნიშნულია; „საქართველოს მთავრობა თავიდანვე შეეცადა კავკასიაში მშვიდობიანობის დამყარებას. საქართველოს მთავრობა ყოველ ღონისძიებას ხმარობს სომხეთსა და ადერბეიჯანს შორის სადაო საკითხების მშვიდობიანი გზით გადასაწყვეტად. საქართველო მართალია, როდესაც ფიქრობს, რომ ამიერ კავკასიის 3 რესპუბლიკის შორის მშვიდობიანობა შექმნის კავკასიაში მტკიცე მდგომარეობას და მაშინ ისინი უცხოეთის საფრთხისაგან უზრუნველყოფილი იქნებიან.

ინგლისი პოლონეთის შესახებ.

„დეილი ნიუსი“ აღნიშნავს, რომ ნაყოფიერ კონტრშეტევებმა შეიძლება პოლონელები გაიტაცოს, რაც თვით პოლონეთზე ცუდათ იმოქმედებსო. გაზეთი იმედს გამოსთქვამს, რომ საფრანგეთი, რომელსაც დიდი გავლენა აქვს პოლონეთზე, შეიძლებს პოლონელების თავის დროზე შეჩერებას. მარშალი ფოში კატეგორიულად ამტკიცებს, რომ პოლონელების მიზანი წითელ არმიელთა პოლონეთიდან განდევნაა და არა რუსეთის ტერიტორიის დაკავებაო.

ერთა ლიგის კონტროლი.

„ფიგაროს“ ცნობით ერთა ლიგას მიენიჭა უფლება კონტროლი გაუწიოს ყველა იმ სახელმწიფოს შეიარაღებულ ძალას, რომელიც ერთა ლიგაში შედის. ერთა ლიგამ უნდა გაუწიოს ანგარში გეოგრაფიულ და სხვა პირობებს და ომის დასრულების შემდეგ იმისდა მიხედვით უნდა გამოიმუშაოს, თუ რომელ სახელმწიფოს რამდენი ჯარი უნდა ყავდეს.

ენზელის დაცლა.

სარწმუნო ცნობების მიხედვით ბალშევიკებს ენზელი დაუცლიათ. ბალშევიკური ძალები ვრანგელთან საბრძოლველად სამხრეთის ფრონტზე გაუგზავნიათ.

ბულგარეთი და ერთა ლიგა.

ბულგარეთის მთავრობამ გადასწყვიტა სთხოვოს ერთა ლიგას, რომ ბულგარეთი ერთა ლიგის წევრათ მიიღოს.

სერბეთში.

მთავრობამ გადასწყვიტა ყოფილი მეფე კონსტანტინე გასასამართლებლად სამხედრო საგანგებო სასამართლოს გადაეცეს. ბრალდებულის სკამზე იქნება მისი ყველა თანამოაზრეები, რომლებიც ახლა შვეიცარიაში სცხოვრობენ.

ათინაში მთავრობამ დაიჭირა ვენიზელოსის წინიალმდეგ შეთქმულობაში მონაწილეობისათვის 47 კაცი. ყველა სამხედრო სასამართლოს გადაეცა-

(გაზეთებიდან)

მთიელთა რესპუბლიკა.

თერგის ყაზახთა დემოკრატიულ პარტიის მოღვაწეებმა, რომელნიც არ იზიარებენ ვდოვენკოს და ბუკანოვსკის ყირიმში წარმებულ პოლიტიკას, თათბირი ჰქონდათ მთიელთა წარმომადგენელებთან მთიელთა დამოუკიდებელ რესპუბლიკის დაარსების საკითხზე. თათბირის შემდეგ მათ შორის მოხდა შემდეგი შეთანხმება: თერგის ყაზახები შედიან მთიელთა რესპუბლიკაში, რომელთა კავშირს ერქმევა ჩრდილო-კავკასიის რესპუბლიკები, ამ რესპუბლიკების ფარგლებში მოჰყვებიან თერგის და დაღესტნის ოლქები. მმართველობა და სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია ამ სახელმწიფოების შორის იქნება ხალხისნური. ყოველივე საკითხები, მაგალითად: აგრარული, უფლებრივი და სხვა გადასწყდება დემოკრატიულ პრინციპებით.

თერგის საბჭოთა მთავრობის შემადგენლობა.

თერგის ოლქის აღმასრულებელ კომიტეტის სხდომაზე აირჩიეს პრეზიდიუმი შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე—კვირკელია, თავმჯდომარის ამხანაგი გიკალლო და ელერდოვი. ამავე სხდომაზე გადასწყვიტეს თერგის საბჭოთა მთავრობის შემადგენლობა: მომარაგების განყოფილების გამგეთ დაინიშნა: ბოლოტინი; მზრუნველობის—ნოსოვი; მიწად-მოქმედების—შაშინი; სოვნარხოზად—კესაევი, გლეხთა-მუშათა ინსპექციის წარმომადგენლად—ბორუკაევი; ფინანსთა—ვართანიანცი; სახალხო განათლების—გადიევი; იუსტიციის—სტანსკი; შინაგან მმართველობის—ელერდოვი.

ბოლშევიკების დამარცხება სპარსეთში.

ბოლშევიკების გამოსვლები სპარსეთში კარგად ვერ დაგვირგვინდა. ის სპარსელები რომელნიც წინად წინააღმდეგნი იყვნენ კუჩუკხანის, დღეს ისევ მის დროშის ქვეშ სდგანან და იბრძვიან რუსეთის ბოლშევიკების წინააღმდეგ. უკანასკნელ ცნობების მიხედვით ბოლშევიკების და სპარსელების შორის დიდი ბრძოლა სწარმოეს.

თურქესტანელების განწყობილება—ბოლშევიკებისადმი.

თურქესტანში უკმაყოფილება ბოლშევიკებისადმი თან და თან იზრდება. ტაშკენტში უკვე რამოდენიმე გამოსვლებს ჰქონდა ადგილი, სადაც მცხოვრებლებს მოუწოდებდენ ბოლშევიკების წინააღმდეგ. თურქესტანელებმა კარგად გაიგეს ბოლშევიკების რეჟიმი და ისინი ვერაფრით მოტყუვდნენ. ბოლშევიკებს ვერც „წითელმა მატარებელმა“ უშველა.

ადამ დაევის დრო.

დაღესტანში რევკომს ბრძანება გამოუცია, რომლის ძალით მცხოვრებლებს, მამაკაცებთ არ შეუძლიან ღამის 12 საათის მერე გარედ გამოვიდნენ, რომ ამით ქალებს შეძლება მიეცეთ გარედ გამოსვლისა რათა გარეკონ საქონელი, წყალი მოიტანონ, წავიდნენ სამუშაოზედ და სხვა. ეს ბრძანება გამოწვეულია მით, რომ ქალები უმანუფაქტურობის გამო სრულიად ჩაუცმელნი და ტანთშიშველნი არიან.

ბოლშევიკები ბუხარაში.

ბუხარაში, თურქესტანის საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ დიდი შეტაკება-კონფლიქტი მოხდა. ამის მიზები არის ის რომ ბოლშევიკები დიდი აგიტაციას ეწევიან ბუხარაში საბჭოთა ძალა-უფლების დასამკვიდრებლად. ბუხარის ემირს ეხლა ხელს უწყობენ ისინიც, ვინც წინად მისი წინააღმდეგი იყო. ემირმა, ავღანის ემირს ამანულლხანს სთხოვა: დახმარება გამიწიე ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლაშიო. ავღანის ემირიც დიდ დახმარებას უწევს ბუხარას. მანნება დართო ინგლისის ჯარებს ავღანიის ტერიტორიაზე გასულიყო. ამ ბრძოლით ბუხარის

ემირს მეტი ძალა და სამხედრო ენერგია მიემატა. მისი ავტორიტეტი გაიზარდა მას შემდეგ რაც მან ქივაში საბჭოთა რესპუბლიკას წინააღმდეგობა გაუწია. ბოლშევიკების მდგომარეობა ბუხარაშიაც მეტად მძიმეა.

ყირიმში

ყირიმის სასურსათო ცხოვრება მეტად გართულებულია და ხალხი პირდაპირ კრიტიკულ მდგომარეობაში იმყოფება. თითქმის არაფერია გასასყიდი მაღაზიებში, მაგრამ თუ რამე შემოიტანეს, ისეთ სენსაციას ახდენს ეს, რომ მცხოვრებლები ერთი მეორეს ველარ სცნობს. მეტად ძვირი საშოვნელია კარტოფილი. სხვა სურსათიც არ მოიპოვება და თუ მოიპოვება ფასები აი როგორია: შაქარი გირვანქა ფასობს 1500 მანეთად, ოსმალეთის საპონი—1000 მ., გირვანქა ფქვილი—1000 მანეთი; ნავთი—750 მან. გირვანქა, ათი კვერცხი—1000 მანეთი. სპეკულიაცია ხომ ყოველგვარ ზომებს აღემატება.

— სევასტოპოლში ბოლერის ეპიდემიაა.

ახალი ამბები

ხავაჭრო ხელშეკრულება რუსეთთან. უახლოეს დროში საბჭოთა რუსეთში რუსეთსა და საქართველოს შორის სავაჭრო ხელშეკრულების დასადებათ, საგანგებო კომისია მიემგზავრება. ხელშეკრულება საქონლის გაცვლა გამოცვლის საფუძველზე იქნება დადებული.

გერმანიის ხაქონელი. გერმანიიდან მთავრობის სახელზე სხვა და სხვა საქონელი მოვიდა. სახელდობრ: ქაღალდი, ელექტრონის ლამფები, რკინეულობა და სხვა.

ს. ავალიანის გამგზავრება. ს. ავალიანი, მიწად-მოქმედების მინისტრის მოვალეობის აღმასრულებელ მალანიასთან და სახელმწიფო კანტროლის წარმომადგენელთან ერთად რკინის გზელთა სასურსათო ორგანიზაციის მდგომარეობის გასაცნობათ მიემგზავრება. რკინის გზელებმა თავის ოპერაციების გასაფართოებლად განსაზღვრული თანხა გამოითხოვეს.

ბორჯომის სანატორიუმი. სახელმწიფო პირველი სანატორიუმის კოლეგია ღრმა მადლობას უცხადებს ცენტრო-ბანკის თავმჯდომარეს 100.000 მან. შემოწირვისათვის. ამასთანავე გაუწყებთ, რომ სანატორიუმმა მიიღო სტიპენდიატი ცენტრობანკის სახელობაზე.

სატრანსპორტო საზოგადოების რევიზია. დამფუძნებელი კრების საგზაო კომისიამ დაადგინა: ამ კვირაში სატრანსპორტო საზოგადოების მოქმედების რევიზიას შეუდგეს.

ბათომის რადიო-სადგური. რადიო ტელეგრაფის სამმართველომ ზომები მიიღო ბათომში ძლიერ, 10 კილოვატიანი სადგურის მოსაწყობად. ახალი რადიო სადგური საშუალებას მისცემს ბათომს დაუკავშირდეს კონსტანტინოპოლსა და ყირიმს. ამ შემთხვევაში ტფილისი ყველა რადიოს ბათომიდან მიიღებს.

ბილეთი მოწაფეთათვის. რკინის გზის მოძრაობის უფროსის კანდელაკის ხელმოწერით გამოვიდა ბრძანება, რომლის ძალითაც რკინის გზის ლიანდაგის მახლობლად მცხოვრებ პირველ დაწყებითი სასწავლებლის მოწაფეთ ეძლევათ რკინის გზის თვიური და სამთვიური შეღავათიანი ბილეთი. თვიური ბილეთი ეღირება იმდენი, რამდენიც საბავშო მხოლოდ 50 ჯერ გადიდებული 3 თვიანი კი 150 ჯერ გადიდებული.

ტფილისის სადგური. გზათა უწყების დეპარტამენტის საბჭომ აღძრა შუამდგომლობა ტფილისის რკინის გზის სადგურის შენობის გაფართოების საქმის დასასრულებლად და ზედმეტ გაწეულ ხარჯების დასაფარავად საჭირო თანხის მიცემის შესახებ. შუამდგომლობაში აღნიშნულია ისიც, რომ შენობა ზამთრამდე უნდა შეკეთდესო.

ქართველები თურქესტანში. ტფილისში ჩამოვიდა თურქესტანში მცხოვრებ ქართველთა დელეგაცია 3 კაცისაგან შემდგარი. დელეგაციამ სექტემბრის 4 ინახელა გარეშე საქმეთა მინისტრის ამხანაგი ქარცივაძე.

ახალი წყალსადენი. ქალაქის თვითმმართველობის მთავარმა ინჟენერმა შეიმუშავა ტფილისში ახალი წყალ-სადენის მოწყობის პროექტი და ხარჯთ-აღრიცხვა. ამ პროექტს მოკლე დროში განიხილავს სატექნიკო კომისია.

სურსათი. ქალაქის თვითმმართველობა შეუდგა ქალაქის ბოსტნებიდან სურსათის მოგროვებას თავისავე სამრეწველოების მუშებისათვის გასანაწილებლად. ავჭალის ბოსტნებში მოაგროვეს 2.000 ფუთი კარტოფილი.

შეხვედრა. მუშებისა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს წინადადება მიეცათ შეადგინონ კომისია, მეორე ინტერნაციონალის დელეგაციის სადღესასწაულო შესახვედრად. ტფილისის ქალაქის გამგეობამ თავის მხრივ ამ კომისიაში აირჩია გამგეობის წევრი კონიაშვილი.

ბრძოლა სპეკულიაციასთან. საგანგებო რაზმის უფროსის განკარგულებით დაიჭირეს 19 კაცი, რომელთაც სპეკულიაცია ბრალდებათ. დაპატიმრებულნი ციხეში მოათავსეს.

სასამართლოს ცხოვრება. ბათომის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო განყოფილებამ მოქმედება დაიწყო. ბათომის საოლქო სასამართლოს მოწყობის საორგანიზაციო მუშაობას სასწრაფოდ დასრულების მიზნით, ბათომს გაემგზავრა სასამართლო პალატის პროკურორის ამხანაგი კანდელაკი. გამომძიებელი ს. მესხი დაინიშნა ქუთაისის საოლქო სასამართლოს პროკურორის ამხანაგად.

აქციზი ჩაიზე. მთავრობამ მოისმინა მოხსენება შინა მრეწველობის დამზადებულ ჩაიზე აქციზის დაწესების შესახებ. მოხსენებაში აღნიშნულია, რომ აქამდი, აქციზი უცხოეთში დამზადებულ ჩაიზე იყო დაწესებული. ამ ჟამად, ბათომის ოლქის შემოერთების შემდეგ ბაზარზე ადგილობრივი წარმოების ჩაიც შემოდის. საქციზო უწყება ადგილობრივ წარმოების ჩაიზე აქციზის დაწესების საჭიროებას აღნიშნავს. მოხსენების შემდეგ მთავრობამ საქციზო უწყებას აღძრულ საკითხის განსახილველად საგანგებო თათბირის მოწვევა მიანდო. თათბირზე ფინანსთა მომარაგების და მიწად მოქმედების სამინისტროების წარმომადგენელები მიიღებენ მონაწილეობას.

სავალიუტო ხაქონელი. სავაჭრო სამრეწველო პალატამ ფინანსთა სამინისტროს შუამდგომლობით მიმართა დართოს მას ნება იმ სავალიუტო საქონლის საზღვარ გარეთ გატანისა, რომელიც ერთ დროს თანახმად მომარაგების მინისტრის ნებართვისა გატანილი იყო ბათომში და რომელიც სხვა და სხვა მიზეზების გამო იქ დარჩა. სავაჭრო სამრეწველო პალატა აღნიშნავს რომ ეს საქონელი უნდა იქნეს გატანილი საზღვარ გარეთ, ვინაიდან იგი საქართველოში უკვე შემოტანილ საქონლის ეკვივალენტს წარმოადგენსო.

კომერციული განათლება. სავაჭრო სამრეწველო კომიტეტმა კომერციულ სასწავლებლის წესდება მოიწონა. განზრახულია უმცროს კლასების თანდათანობითი დახურვა და მათ ადგილზე უმაღლეს კომერციულ სპეციალურ კლასების დატოვება. განზრახულია აგრეთვე ნაწილობრივად სახელმწიფო ენაზე გადასვლა. მიმდინარე წელში გაიხსნება პარალელური კლასები. მე-5 და 6 კლასებში მაცადინობა ქართულ ენაზე იწარმოებს.

ბათომი

გაზეთ „მთლიან საქართველოს“ დახურვა.

გაზეთ „მთლიან საქართველო“-ში დაიბეჭდა ერთი წერილი, სადაც სხვათა შორის სწერია რომ „ქემალ-ფაშას, რომელსაც უნდა ევროპას გაუსწორდეს, დასჭირდება წინდაწინ ქართველ ჯართან გასწორება, და მაშინ იქნება აღსასრული ეფემერული ოსმალეთისა. ტრაპიზონი პირდაპირი გზაა საქართველოსი აზიის სიღრმეში და ამ გზას დაიპყრობს ქართველი ჯარი... ტრაპიზონში აშენდება ახალი ეფემერები და ეს იქნება ახალი სიდონი“. ბათუმის საგანგებო კომისარმა დაინახა რა ეს წერილი მეტად შეუფერებელი ტონით დაწერილი, რომელიც პროვაკაციულ მიზნით იყო მიმართული მეზობელ ოსმალეთის მიმართ—მეორე ნომერის გამოსვლისთანავე გაზეთი „მთლიანი საქართველო“ დახურა.

ერობა

ერობათა კავშირის მიმართვა.

ერობათა კავშირის კომიტეტმა, გუმისტინის, გუდაუთის, კოდორის, და სამურზაყანოს ერობებს შემდეგი შინაარსის წერილით მიმართა: „ერობათა კავშირის კომიტეტმა მიიღო ცნობა აფხაზეთის ერობათა და ქალაქთა კავშირის დაარსების შესახებ. ერობათა კავშირის კომიტეტი, როგორც ცენტრალური ორგანო საქართველოს ყველა საერობო ერთეულისა, აღნიშნავს, რომ ის ნაბიჯი, რომელიც ამ სამმა ერობამ გადადგა, მისთვის სრულიათ მოულოდნელი და აუხსნელია. მოულოდნელია მით, რომ კომიტეტს ამის შესახებ თავის წევრებისაგან არავითარი ცნობები არ მიუღია, გაუგებარია მით, რომ ერობათა კავშირის გამგეობას ასეთი მოწყობა არ დაუმსახურებია. ასეთი კავშირის დაარსება დასაშვები და საჭიროც იქნებოდა, რომ ერობათა კავშირს არ გაეწია დახმარება აფხაზეთის ერობისათვის. არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა, რომ აფხაზეთის ერობის შუამდგომლობა არ ყოფილიყოს დაკმაყოფილებული. პირ-იქით კომიტეტი ყოველთვის განსაკუთრებული ყურადღებით ეპყრობოდა აფხაზეთის ერობის შუამდგომლობებს. ერობათა კავშირის კომიტეტი მწუხარებას გამოსთქვამს მომხდარ ფაქტის გამო, თუმცა არ კარგავს იმედს, რომ კავშირის წევრები გაარკვევენ იმ მიზეზებს, რომლებმაც გამოიწვიეს მათი გამოყოფა ერობათა საერთო კავშირიდან.

გორის ერობა.

გორის ერობის გამგეობამ დაადგინა: აიღოს აბასთუმანში იჯარით ერთი სახლი და მოაწყოს შიგ სანატორიუმი ერობის მოსამსახურეებთათვის.

გორის სამაზრო ერობამ მიწის ძვრისაგან 20 დაქცეული სოფლის აღდგენის გეგმა დაამტკიცა.

ვალიუტის შესახებ.

მთავრობამ იმსჯელა ქართული ბონების კურსის განსამტკიცებლად ლონისძიებათა მიღების შესახებ და დაადგინა: საკანონმდებლო წესით უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს დაარსებამდი დაარსონ განსაკუთრებული თათბირი ფინანსთა მინისტრის თავმჯდომარეობით და მომარაგებისა და მიწად-მოქმედების მინისტრებისა, სახელმწიფო კონტროლიორისა და სახელმწიფო ბანკის მმართველის მონაწილეობით. ამ თათბირს უფლება ექნება სავალდებულო დადგენილების გამოცემისა შემდეგ საკითხების შესახებ: 1) რესპუბლიკის საზღვრებში სავალიუტო ოპერაციების შესახებ, 2) საჭიროების დროს ამ ოპერაციების შეზღუდვისა და იმ დაწესებულებათა დახერვის შესახებ, რომელიც მუშაობს სავალიუტო ოპერაციებზე, 3) საგარეო ვაჭრობის მოწესრიგების შესახებ, 4) ყველა ფული, გარდა ამიერ-კავკასიის და საქართველოს ბონისა-გამოცხადდეს უცხო ვალიუტათ, 5) სახელმწიფო ბანკთან დაარსდეს სავალიუტო ფონდი, რომელსაც გადაეცეს მთავრობისა და მისი ორგანოების მიერ წარმოებულ სავაჭრო ოპერაციებისა და ხელშეკრულებებიდან შემოსული უცხო ვალიუტის 25%, 6) ზემოთ ჩამოთვლილ ლონისძიებათა განხორციელება მიენდოს სახელმწიფო ბანკს, 7) განსაკუთრებულ თათბირის დადგენილებათა დამრღვევნი დაისჯებიან ადმინისტრატიული წესით და დამნაშავეთ თუ აღმოაჩნდა უცხოეთის ვალიუტა, ჩამოერთმევა და გადაეცემა სავალიუტო ფონდს, 8) მიეცეს სახელმწიფო ბანკს სესხის სახით სამრეწველო თანხიდან 1 მილიონი მანეთი. ზემო მოყვანილ დადგენილება ცხოვრებაში გასატარებლად, საორგანიზაციო სამუშაო და სხვა ხარჯების დასაფარავად, იმ პირობით, რომ ფინანსთა სამინისტრომ მაშინვე, როგორც კი გაიხსნება დამფუძნებელი კრების სხდომები გამოითხოვოს საჭირო კრედიტი, 9) ყველა დაწესებულებამ მიიღოს ზომები ხაზინის ინტერესების დასაცავად, 10) როგორც კი გაიხსნება დამფუძნებელი კრება შეიტანონ იქ პროექტი უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს დაარსების შესახებ. სახელმწიფო ბანკის მოხსენებაში აღნიშნული საკითხები შემუშავებულ იქმნას უფრო დეტალურად და შემდეგ განსახილველად წარედგინოს მთავრობას მახლობელ სხდომაზე.

პროფ. კავშირთა საბჭოში

პროფ. კავ. საბჭოს სეკრეტარიატში სექტემბრის 2, სხდომაზე განიხილეს ტრამვაის მოსამსახურეთა საკითხი. ტრამვაის მოსამსახურეთა კავშირმა განაცხადა: მოსამსახურეები მოითხოვენ: 1) მოსამსახურეთა შორის ჯამაგირების მხრივ განსხვავება კატეგორიების და მიხედვით უნდა არსებობდეს, 2) უნდა დაარსდეს თავისუფალი დღე, 3) კვირაობით ორჯერ მეტი ხელფასი უნდა მიიღონ, 4) ზედმეტი დროის მუშაობა სამჯერ მეტად უნდა ფასდებოდეს. საკითხის განხილვის შემდეგ დაადგინეს: 1) უარყონ მოთხოვნილება განსხვავების შესახებ. ა) განიხილონ საკითხი მუშათა კატეგორიებათ დაყოფის შესახებ. კვირაში თავისუფალი დღის შესახებ უთანხმოების გამო, გადაწყდა ე. ი. საკითხი გადაეცეს საგანგებო კომისიას, რომელსაც დაევალა დანარჩენ მოთხოვნილებათან ერთად თავისი დასკვნა გამოიტანოს.

ქუშათა ცხოვრება

მუშათა რიცხვი.

მომარაგების სამინისტრო შეეკითხა ტფილისის რკინის გზათა უფროსს ნეიტრალურ ზონის თვითეულ სადგურსა და ყველა სადგურზე რამდენი მუშა და მოსამსახურე ირიცხებაო.

მუშათა მაგიდა.

მუშათა მაგიდამ შრომის მინისტრსა და მომარაგების სამინისტროს განმანაწილებელ განყოფილებას აცნობა, რომ რესპუბლიკის მუშების, მოსამსახურეებსა და მათი ოჯახებისათვის საჭიროა არა ნაკლებ 150.000 ფუთი ხორბლის მომარაგება.

ფოსტა-ტელეგრაფში

სია ჩაუბარებელ დეპეშებისა

1 სექტემბრისა.

სალოღლიდან—ლაშაურს; ხონიდან—წივწივაძეს; კალაგერანიდან—აღანანიანცს ბათომიდან—ბებუთოვის 54; სალოღლიდან—ანანოვისას; სანდარიდან—ზიმონს; ბათომიდან—ზახარჩენკოს; სადახლოდან—სალდათის ბაზარი; ბათომიდან—გობეჩაურს; გაგრიდან—ლებსაძეს; ყარსიდან—ბლაპიანცს—ოჩემჩირიდან—მარშანიას; ბათომიდან—გრიჩენკოს; ზესტაფონიდან—ფალავას; სარიკამიშიდან—ნოსონოვისას; ალექსანდროპოლიდან—იუზბაშევს; ბათომიდან—მარეევისას.

3 სექტემბრისა.

თელავიდან—დაჟიშვილს; ხონიდან—ფარცხალაძეს; სამტრედიიდან—კახაბერს; სიღნაღიდან—ჩხნაშვილს; ალექსანდროპოლიდან—ინაზბეკოვს; შულავერიდან—ცაბაძეს; ბათომიდან—ჩახეიძეს; ფოთიდან—სკუკავას; ახალციხიდან—ცუცუხავას; შულავერიდან—ბარსკის ბათომიდან—შელლას; სალოღლიდან—ორლოვას; ბორჯომიდან—ვართანოვს; ლანჩხუთიდან—ხუხუნაშვილს.

მილიციაში

10 მილიონი მან. ნაქურდალ ნოხების აღმოჩენა.

3 სექტემბერს სამნეო ნაწილის გამგემ სომხეთის დიპლომატიური მისიისა კაპიტანმა ვლადიმერ ბეგლარის ძე შახპარანიანცმა განუცხადა სისხლის სამართლის მილიციას, რომ იმ ბინიდან, სადაც მისია იმყოფება რუსთაველის პროსპექტი № 8, სადაც დაწყობილი იყო ნივთები აკოპ კონსტანტინეს ძე ზუბალოვისა, რომელიც ამ ჟამად საზღვარ გარეთ იმყოფება, მოხდენილია ქურდობა და წაღებულია ექვსი საუკეთესო სპარსული ნოხები ღირებული 10 მილიონ მანეთად. შახპარანიანცმა განაცხადა, რომ ქურდობა მოხდა შემდეგ პირობებში: დილის 6 საათზე იმავე 3 სექტემბერს მისიის ბინაზე გამოცხადდა ეზოს კარებიდან ვიღაც ახალგაზრდა კაცი რევოლვერით წელზე და უბრძანა მეთვალ-ყურე პეტრე ალექსის ძე პატაპოვს გაეღო ქუჩასთან შემაერთებელი კარები, (პოდიეზდი) სადაც ელოდება კომისარი და რომელმაც უნდა მოახდინოს ჩხრეკა, როცა პატაპოვმა შეასრულა სადაც დაინახა ვიღაც სქელი კაცი რომელიც შევიდა რა სახლში უბრძანა პატაპოვს არ დაეკეტა კარები ვინაიდან ეხლა მოვლენ მილიციონერებიო. ეს სქელი კაცი, მეთვალყურე პატაპოვი და ერთი მილიციონერი რომელიც ეზოდან შემოვიდა და მეორე მეთვალყურე ისაევი წავიდნენ მაღლა სართულში სადაც მოთავსებულია მისია, გავიდნენ ერთ უკანასკნელ ოთახში და დაუწყეს მათ გამოკითხვა მდგმურების შესახებ და მათი საბინაო დავთარში ჩაწერის შესახებ რაც გაგრძელდა 40 წუთამდის. მისცენ გაფრთხილება ვითომდა კომისარმა და მილიციონერებმა მეთვალყურეთ, რომ არ მიეღოთ მდგმურები ჩაუწერლათ და წავიდნენ. უკანასკნელ კარებამდის გააცილა ისინი. მეთვალყურე პატაპოვმა როცა უკან გაბრუნდა შეამჩნია ნავტალინის სუნი რომელიც ეყარა იატაკზედ. პოტაპოვმა დაუძახა ისაევს, უკანასკნელმა უცბათ წარმოიდგინა, რომ რაღაც არა ჩაეულებრივი იყო და გაიფიქრა, რომ ნავტალინი შეიძლება ნოხებიდან არისო, გადაიხედა ფანჯარიდან იმ ოთახში საცა ეწყო ზუბალოვის ნოხები და შეამჩნია რომ აღარ იყო ნოხები. გამოვარდა ქუჩაში მაგრამ ვერც ნოხები და ვერც მისი წამლები ვერ ნახაო.

ამ უდიდესი ქურდობის გახსნა იკისრა პირადათ დროებით თან. აღმ. სის. საშ. მილიციის უფროსის ბ. ი. ვ. ჩახლაძემ და უფროს

აგენტმა გარ. გულიევმა ერთად, რომლებმაც ფეხ და ფეხ გასდიეს კვალს, სადაც წავიდნენ ქურდები გოლოვინის პროსპექტით ნიკოლოზის შესახვევით ჩრდილოეთი ნომრებთან, მაგრამ მუზეის შესახვევთან დაკარგა კვალი, რის შემდეგ ბ. ჩიხლაძემ გასცა ბრძანება, რათა დაეთვალიერებიათ ყველა საწყობები, რომლებიც იმყოფება იმ რაიონში, ჩხრეკას ხელმძღვანელობდა თვით ბ. ჩიხლაძე. ღამის თორმეტ საათზე ნოხები უკლებლივ იქმნა ყოფილ „პროვოდნიკის“ საწყობში, რომელიც ეხლა დაქირავებული აქვს გრიგორ გიორგის ძე ჩეჩელაშვილს, იქვე დაატუსაღეს ძმები გიორგი და ილია მიხეილის ძე და მათი ბიძაშვილი გრიგორი გიორგის ძე ჩეჩელაშვილები. გათენებისას დილით 4 აგვისტოს დატუსაღებულ იქმნა მეოთხე ქურდიც მიკირტიჩ ოგანეზის ძე ხემჩიანცი მცხ. არსენალის შოსე № 37.

გამოძიებით გამოირკვა, რომ ეს ქურდობა მოხდენილა წინასწარ მოგონებით, და შეთანხმენით, რომლებიც შესდგება გიორგი და ილია ჩეჩელაშვილების (კვიდრი ძმებისა) და მათი ბიძაშვილი გრიგორი გიორგის ძე ჩეჩელაშვილები და მეოთხე მიკირტიჩ ხემჩაიანცით, რომელიც არა ერთხელ ყოფილა ქურდობაზედ სამართალში მიცემული.

პირველათ, რომელიც გამოცხადდა მეეზოვე ჰოტაპოვთან აღმოჩნდა მე-3 უბნის უფროსი მილიციელი გიორგი მიხეილის ძე ჩეჩელაშვილი, ის რომელიც კომისარს უწოდებდა თავს ამისი ძმა ილია მიხეილის ძე ჩეჩელაშვილი, რომლებმაც შესვლისას შეიყვანეს მეთვალყურეები ისეთ ოთახში, სადაც არაფერი არ სჩანს და დააკავეს საუბრით იმდენ ხანს, რამდენიც მოუნდებოდა ნოხების გამოყვანას. ამ დროს პადიეზდიდან შევიდა გრიგორი გიორგის ძე ჩეჩელაშვილი და ხემჩიანცი, რომლებმაც გააღეს კარები მისადგომი გასაღებით და გამოიტანეს ქუჩაში ნოხები, საცა მათ უცდიდა ხუთი მუშა, წაიღეს ნოხები გოლოვინის პროსპ. მუზეის შესახვევში და შეიტანა იმ საწყობში, რომელიც დაქირავებული აქვს გრიგორი გიორგის ძე ჩეჩელაშვილს, სადაც დამალეს.

უადგილო არ იქნება აქვე ვახსენოთ, რომ ქურდ ხემჩიანცთან მოლაპარაკებული იყვნენ ჩეჩელაშვილები, რომ ქურდობა უნდა მომხდარიყო ჩეჩელაშვილების აქტიურ მონაწილეობით. ხსენებული ნოხები ჩეჩელაშვილებმა წინდაწინვე იყიდეს ხემჩიანცისაგან 80000 მანეთად და მისცეს მას 20000 მანეთი ავანსის სახით, მაგრამ მილიციის მიერ მოხდენილ ძიებით საქმის ჭეშმარიტება ღიაა და ნამდვილი ქურდები დაჭერილია, ნოხები ჩაბარდა ზუბალოვის გამგეს ნიტოლიეკის. ქურდები ძმები ჩეჩელაშვილები და ხემჩაანცი მოთავსებულნი არიან № 2 საპყრობილეში. კვლევა ძიება გადაეცა სასამართლოს.

ბ ა ნ ც ხ ა ლ ე ბ ა ნ ი

დაიკარგა შოფერობის მოწმობა № 20 დავით პოპოვის სახელზე, მიღებული ტფ. ქალაქის თვითმართველობის საინჟინერო განყოფილებიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს.
2627 3—1

დაიკარგა საოჯახო უვადო პასპორტი ივანე გრიგორის ძე ჩიგერის სახელზე, მიღებული ტფ. პოლიცმეისტერის სამმართველოდან, გაუქმებულად ჩაითვალოს. 2561 3—3

დაიკარგა სამტრედიის რკ. გზის სასწავლებლის 4 კლასის დამთავრების ატესტატი № 159 მიხეილ კაკაბაძის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 2567 3—3

დაიკარგა პასპორტი მიღებული ნახახულევის საერობო თემიდან და სარეგისტრაციო ბარათი, მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან ალექსანდრე ანტონის ძე ძიძიგურის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2578 3—2

დაიკარგა სარეგისტრაციო ბარათი ვასო ზურაბის ძე კოლიაშვილის სახელზე, მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2580 3—2

დაიკარგა პასპორტი ევდოკია დანიელის ასული ტიოტუშკინას სახელზე, მიღებული სარატოვის გუბერნიაში. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2582 3—2

დაიკარგა სარეგისტრაციო ბარათი ტიგრან გიორგის ძე ვაბრიელოვის სახელზე, მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2585 3-2

დაიკარგა ტფ. კერძო ლომბარდის კვიტანცია № 77071—300 მან. ღირებულების. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2576 3—3

დაიკარგა საბინაო დავთარი ვორონცოვის ქუჩაზე № 64 მდებარე სახლის, რომელიც ეკუთვნის ასლან შახ ვალადოვს. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2588 3—2

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 193 მილიციელი ა. ნ. ხოშტარიას სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს.
2583 3—2

დაიკარგა საოჯახო პასპორტი № 3834 ივანე ნიკიტის ძე არხიპოვის სახელზე, მიღებული ტფ. პოლიცმეისტრის სამმართველოდან 1910 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს.
2594 3—2

დაიკარგა ტფილისის მე-6 ვაჟთა გიმნაზიის კურსის დამთავრების ატესტატი № 798 ვარლამ მდინარაძის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2596 3—2

დაიკარგა პირადობის მოწმობა, მიღებული გეორარის საქართველოს ნაციონალურ მამულიდან, პედაგოგიურ კურსის დამთავრების მოწმობა სტავროპოლში და სხვა საბუთები გერმან კუზმას ძე აგრიზკინის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2697 3—2

დაიკარგა ტფ. რეალური სასწავლებლის 6 კლ. დამთავრების ატესტატი და მე 7 კლ. დამთავრების მოწმობა ბარის ბარისის ძე ტაუნლეის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს.
2699 3—2

დაიკარგა პასპორტი № 6468 ვარლამ ონუფრის ძე ჩიქოვანის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2592 3—2

ტფილისის სამიტროპოლიტო სასამართლოში სიმონ დავითის ძე ელენტმა შემოიტანა განცხადება, რომ მისი ცოლი მარგალიტა სტანისლავის ასული ელენტისა, რომელზედაც ჯვარი დაიწერი 1910 წელს უკვალოდ დაიკარგა 1915 წლიდან, რის გამო თხოულობს მისგან განქორწინებას. ყველა, ვინც იცის დაკარგულ მარგალიტა ელენტის მისამართი, ვალდებულია საქართველოს რესპუბლიკის არსებულ კანონთა ძალით, განუცხადოს სამიტროპოლიტო სასამართლოს ზემოხსენებულ პირის მისამართი დღიდან ამ განცხადების დაბეჭდისა ორი თვის განმავლობაში. 2591 3—2

დაიკარგა პასპორტი, მიღებული ს. ანაგიდან (სიღნაღის მაზრა) და სამხედრო უბანზე მიწერილობის ბარათი, მიღებული ტფ. ქალაქის გამგეობიდან ალექსანდრე მალხაზის ძე ანდროზაშვილის სახელზე. 2541 3—3

დაიკარგა ტფ. ქალაქის გამგეობასთან დადებული ‘ხელშეკრულება № 200 ნარიმანი ბაბაევის ძე ეივაზოვის სახელზე, ნახალოვკაში მდებარე მამულის შესახებ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2550 3—3

დაიკარგა პოლიტექნიკურ ინსტიტუტის კანცელარიის მიერ გაცემული პირადობის მოწმობა პლატონ ერასტოს ძე ფიჩხუას სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს.
2525 3—3

დაიკარგა დროებითი -ოწმობა ვასილი ნიკიტის ძე ჩერნიშევის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსისის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს.
2543 3—3

დაიკარგა საბინაო დავთარი გუდაუთის ქუჩაზე № 11 მდებარე სახლის, რომელიც ეკუთვნის ხაჯი ხანუმ ბადან ბეგოვს. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2545 3—3

დაიკარგა მოწმობა პროსკოვია ივანეს ასული მინაევის სახელზე, მიღებული სამხედრო საოლქო შტაბიდან ტფილისში 1904 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2549 3—3

დაიკარგა სარეგისტრაციო ბარათი ალექსი შარაძის სახელზე, მიღებულ ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან. გაუქმებულად ჩაითვალოს (უფ.) 3—2

სამხედრო სასამართლო ამა წლის 21 აგვისტოს გამწესრიგებელ სხდომის დადგენილების თანახმად სამხედრო სასამართლოს წარმოების წესდების 915 მუხ. დაეძებს დარიალის სანაპირო რაზმის ჯ. კ. შორაპნის მაზრის ს. ცის მცხოვრებ გიორგი კაპანაძეს, რომელიც მიცემულია სასამართლოში ბოროტმოქმედებისათვის გათვალისწინებულ 160 მუხ. XXII წ. ს. დ. კ. 1869 წ. მე-4 გამოცემით.

ყველა ვინც იცის სად იმყოფება აღნიშნული კაპანაძე ვალდებულია განუცხადოს სამხედრო სასამართლოს, რომელიც მოთავსებულია სასამართლოს ქ. № 32. 872 3—3

დაიკარგა კონსტანტინე ანტონის ძე იოსელიანის სახელზე 1) პირადობის მოწმობა გზის უფროსიდან, 2) ღია ფურცელი, საქართველოს დიპლომატიური მისიისაგან სომხეთში, 3) წლიური პირველი კლასის ბილეთი საქართველოს რკინის გზებზედ სასიარულოდ და 4) წლიური ბილეთი პირველ კლასის სომხეთის რკინის გზაზედ სასიარულოდ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2581 3—2

ტფილისის სამიტროპოლიტო სასამართლოში მარიამ სოფრომ. დობროტინისამ შემოიტანა განცხადება, რომ მისი ქმარი კონსტან. მიხეილის ძე დობროტინი, რომელზედაც ჯვარი დაიწერა 31 იანვარს 1916 წ., უკვალოდ დაიკარგა 1918 წლიდან, რის გამო თხოულობს მისგან განქორწინებას. ყველა, ვინც იცის დაკარგულ დობროტინის მისამართი, ვალდებულია საქართველოს რესპუბლიკის არსებულ კანონთა ძალით, განუცხადოს სამიტროპოლიტო სასამართლოს ზემოხსენებულ პირის მისამართი დღიდან ამ განცხადების დაბეჭდისა ორი თვის განმავლობაში. 2558 3—2

ქუთაისის ქალაქის მილიციის სამართველო თანახმად დიმიტრი ივლიანეს ძე მგალობლიშვილის განცხადებისა, რომელსაც დაუკარგავს მიწის ნაყიდობის ქაღალდი, მიცემული გრიგოლ იოსების ძე კემულარიასაგან 15 დეკემბერს 1904 წელში, დამოწმებული ზუგდიდის მაზრის სოფელ კოკის საზოგადოების მამასახლისისაგან და ათასი მანეთის ბარათი მიცემული ილარიონ კიკვაძისაგან სთხოვს მნახველებს აღნიშნული საბუთებისა წარმოადგინონ მილიციის სამმართველოში ჩასაბარებლათ კუთვნილებისამებრ. წინააღმდეგ შემთხვევაში გაუქმებულათ ჩაითვალოს.
2566 3—3

დაიკარგა პასპორტი ოლღა მიხეილის ასული რიკოვის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2571 3—3

დაიკარგა სარეგისტრაციო ბარათი ავეტიქ გარსიას ძე ბეჟანოვის სახელზე, მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან. გაუქმებულად ჩაითვალოს.
2570 3—3

დაიკარგა სამხედრო ბეგრიდან ოავისუფლების მოწმობა (სამსახურის ნუსხა) გრიგოლ ივანეს ძე ჯანიაშვილის სახელსე, მიღებული გორის მაზრის სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან. გაუქმებულად ჩაითვალოს.
2555 3—5

დაიკარგა ს.-დემოკრატიული პარტიის წევრობის ბარათი № 49 გიორგი ალექსის ძე მელიქაშვილის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2556 3—3

სამხედრო სასამართლო ამა წლის 21 აგვისტოს გამწესრიგებელ სხდომის დადგენილებით, თანახმად სამხედრო სასამართლოს წარმოების წესდების 951 მუხ. ეძებს ყოფილ პირველ მსროლელ რაზმის ჯ. კ. ქუთაისის მაზრის, მანდიკორის საზოგადოების ს. ჭუპის მცხოვრებ ირაკლი ისაკის ძე მერკვილაძეს, რომელიც მიცემულია სასამართლოში ბოროტმოქმედებისათვის გათვალისწინებულ 128, 134 და 163 მუხ. XXII წიგ. ს. დ. კ. 1869 წ. მე-4 გამოცემით.

ყველა ვინც იცის სად იმყოფება ამ ჟამად აღნიშნული მერკველაძე ვალდებულია განუცხადოს სამხედრო სასამართლოს, რომელიც მოთავსებულია სასამართლოს ქ. № 32.
872 3—3

დაიკარგა ტფ. 5 გიმნაზიის 4 კლ. მოწმობა მაიორ შტეინბერგის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2523 3—3

დაიკარგა სარეგისტრაციო ბარათი ვანო გრიგოლის ძე სელეპანოვის სახელზე, მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან. გაუქმებულად ჩაითვალოს.
2573 3—3

დაიკარგა საბინაო დავთარი გონჩარნი ქუჩაზე № 44 მდებარე სახლის, რომელიც ეკუთვნის ისაკ ზურაბის ძე ავეტიქოვს. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2574 3—3

დაიკარგა საოჯახო პასპორტი იუსუპ კასიმოვის სახელზე, მიღებული ტფ. მდებარე მოქალაქეთა სამმართველოდან. გაუქმებად ჩაითვალოს. 2605 3—1

დაიკარგა დამფუძნებელი კრების წევრობის მოწმობა, კახეთის რკ. გზაზე მგზავრობის 1 კლ. ბილეთი და ს.-დ. პარტიის გურიის სამაზრო კომიტეტიდან მიღებული საწევრო ბარათი და სხვა საჭირო საბუთები გიორგი მურვანიძის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2608 3—1

დაიკარგა პასპორტი, მიღებული წელასკურის თემიდან, ს.-დემოკრატიული პარტიის ბარათი, პურის რაციონი და ტრამვაის კოოპერატივის წიგნაკი გაბო ჩაჩანიძის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 2616 3—1

დაიკარგა სარეგისტრაციო ბარათი ვასილი აბრამის ძე მაყაშვილის სახელზე, მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2600 3—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა პირადი სურათით, მიღებული რუსების ნაციონალურ საბჭოდან და მეტრიკული ამონაწერი არტაშეს ხაჩატურის ძე ტერ-მანველოვის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2601 3—1

დაიკარგა პასპორტი № 2040 ბენიამინე დავითის ძე ტერ-გასპარიანცის სახელზე, მიღებული ტფ. მდებარე მოქალაქეთა სამმართველოდან 1913 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს.
2602 3—1

დაიკარგა საბინაო დავთარი შუშინის ქუჩაზე № 19 მდებარე სახლის, რომელიც ეკუთვნის ბაბისოვს. გაუქმებულად ჩაითვალოს.
2603 3—1

დაიკარგა სამხედრო ბეგრიდან თავისუფლების მოწმობა № 461 მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან 1920 წ. ადოლფ ფელდმაიერის სახელზე. გაუქმებულმდ ჩაითვალოს. 2604 3—1

დაკარგულია ივანოვის საგირაო კასის ბილეთი № 671 1920 წ. ღირებული 800 მან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2609 3—1

ტყის რევიზორი 1-ლი რაიონისა ამით აცხადებს, რომ საჯარო ვაჭრობა დანიშნული 27 ინკენისთვეს 1920 წ. გასაყიდათ 200 წიფლის ხეებისა კისისხევის და ვარდისუბნის დაბებში, თელავის სატყეოსი, შესდგება არა ტფილისში, როგორც შეცდომით იყო გამოცხადებული გაზ. „საქართველოს რესპუბლიკის“ № 190-ში, არამედ ქ. თელავში, სამზრო ერობის ბინაზე.

სენაკის სამაზრო ერობის გამგეობა ამით აცხადებს, რომ ყოფილი ერობის კონტრაგენტები; ზინო კალანდარაშვილი, ანდრია ხოფერია და შამუშე თოფურიძე უკვე არ ითვლებიან კონტრაგენტებათ და არავითარი კავშირი არ აქვთ ერობასთან. ყოველგვარი საბუთები გაცემული ერობის მიერ მათზე გაუქმებულია. 2619 1—1

დაიკარგა საკრედიტო მოწმობა მიღებული ლიანდაგის უფროსისაგან, შტატ გარეშე დატოვების დახმარების მისაღებათ № 122. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2606 3—1

დაიკარგა ატესტატი № 180. თამარ გაბუნიას სახელზედ, ქუთაის წმინდა ნინოს სასწავლებლის კურსის დამთავრების შესახებ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2617 3—1

ქუთაისის ქალაქის მილიციის სამმართველო, თანახმად გრიგოლ კაჭკაჭოვის განცხადებისა, რომელსაც დაუკარგავს უვადო ბაშფორთი და სხვა საბუთებიც, სთხოვს მნახველებს აღნიშნული საბუთები წარმოადგინონ მილიციის სამმართველოში ჩასაბარებლად კუთვნილებისამებრ. 1613 3—1

საბჭოთა საქართ. | რედაქტორის მოვალ. აღმ. გრიგოლ მაჭავარიანი